# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა.— შაბათი, 10 ივნისი 1900 წ. № 1147

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ.
ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.
ტელეფონი № 372.

## წარსული წლების ჟურნალი
## „მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებად: 1894 და 1895 წ. წ.—შვიდ-შვიდ მანეთად 1896, 1897 და 1898 წ. წ.—ხუთ-ხუთ მანეთად, ხოლო 1899 წ. «მოამბე» 1900 წ. ხელის მომწერთათვის ეღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ. ჟურნ. „მოამბის“ ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала „Моамбе“.

## ახალი ამბავი

—

✦ გუშინ დეპეშამ ამბავი მოიტანა კიევის **მიტროპოლიტის იოანნიკის გარდაცვალების შესახებ.** გარდაცვალებული მიტროპოლიტი, გვარად რუდნიოვი, დაიბადა მე-30 წლებში ტულის გუბერნიაში. 1849 წელს, კიევის სასულიერო აკადემიის კურსის შესრულების შემდეგ, ის დაინიშნა კიევის სასულიერო სემინარიის რექტორად; შემდეგ იყო რექტორად და პროფესსორად ჯერ კიევის, მერე პეტერბურგის სასულიერო აკადემიისა. 1861 წელს იოანნიკი დაინიშნა ვიბორგის ეპარქიის ეპისკოპოსად, 1864 წ.—სარატოვის, 1873 წ.—ნიჟეგოროდის, 1877 წელს იოანნიკი უმაღლესად დაინიშნა საქართველოს ექსარხოსად და დაჰყო ამ თანამდებობაში 1882 წლამდე. 1882 წელს ის გადაყვანილ იქმნა მოსკოვის მიტროპოლიტად; 1891 წლიდან კი იოანნიკი კიევის მიტროპოლიტად იყო. ყველა ეპარქიებში, სადაც კი განსვენებული ეპისკოპოსობდა, მან დააარსა სახლები სასულიერო წოდების ქვრივთა და ობოლთათვის, გახსნა ეპარქიალური სანთლის ქარხნები, რომელთა შემოსავალიც ხმარდება სწავლის საქმეს, დააარსა სასწავლებლები სასულიერო წოდების ქალთა აღსაზრდელად, გააჩინა თავ-შესაფარი სემინარიებისა და სასულიერო სასწავლებლების მოწაფეთათვის. საზოგადოდ, განსვენებული მიტროპოლიტი ცნობილი იყო, როგორც ქველ-მოქმედი, ჰუმანიური და სწავლა-განათლების მოყვარული მწყემსთ-მთავარი.

✦ უწმინდეს სინოდთან არსებულ სამოსწავლო საბჭოს ნებართვით, ქ. ტფილისში, სასულიერო სემინარიის სადგომში, 7 ივნისიდან გაიხსნა მოკლე ხნით (ერთი თვით) **საპედაგოგიო კურსები** საქართველოს საეგზარხოსო სამრევლო-საეკკლესიო სკოლების მასწავლებელთათვის; კურსებზე მოწვეულია ქართლ-კახეთიდან 20 მასწავლებელი, იმერეთიდან და გურია-სამეგრელოდან—15 და სოხუმის ოლქიდან—10. კურსების ხელმძღვანელად და ინსპექტორად დანიშნულია საქართველოს ეპარქიის საეკკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველი პ. გ. ტატიშვილი, მის თანაშემწედ—სემინარიის ინსპექტორის თანაშემწე ა. ი. რჟავენსკი. მასწავლებლებლად დაინიშნენ: საღმრთო სჯულის—ბ-ნი ტატიშვილი, რუსულის და ქართული ენის, აგრეთვე ანგარიშის—სემინარიის მასწავლებელი ი. ი. ფერაძე, საეკკლესიო გალობის მასწავლებლად—საეგზარხოსო ხოროს ლოტბარი ს. ა. ტროიცკი, ქართული საეკკლესიო ქართლ-კახურ კილოს გალობის მასწავლებლად გორის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი კ. ა. დათაძე, იმერულ კილოს—მ. რ. შარაძე. სასკოლო ჰიგიენიდან ოთხი ლექციის წასაკითხავად მოწვეულია ექიმი ა. ა. პროზოროვსკი.

პრაქტიკული გაკვეთილები სასკოლო ჰიგიენის გაკვეთილების ზედ მითვლით იქმნება 142, მათგან საღმრთო სჯულისა—18, რუსული ენის დი საეკკლესიო სლავურისა—16, ქართული ენისა 10, ანგარიშის—16, გალობის 26 და ჰიგიენის—4.

✦ ოთხშაბათს, 7 ივნისს, კრება ჰქონდათ **ტფილისის საშუალო განათლების კურსების დამაარსებელთა** და ლექტორებს. კრებას გადაუწყვეტია მომავალ წლიდან გახსნას დამატებითი კურსები უმაღლეს სასწავლებლის ზოგიერთ საგნებისათვის, სახელდობრ: ფსიხოლოგიის, ფილოსოფიის, იურისპრუდენციის და სხვათა სასწავლებლად.

✦ განზრახულია დაარსებულ იქმნას საქართველოს საექზარხოსოს ზოგიერთ მაზრებში **საეკკლესიო—სამრევლო სკოლები** საკუთრივ ქალთათვის.

✦ საგანგებო კომისიას შემდეგი გადაუწყვეტია **ბათუმისა და ართვინის ოლქების ქუთაისის გუბერნიიდან განცალკავების შესახებ:** „კომისიამ სასურველად სცნო ბათუმი და მახლობელი ოლქები განცალკავებულ იქმნან და შეადგინონ ან გუბერნია ან ოლქი ქალაქ ბათუმის საადმინისტრაციო ცენტრად დანიშვნით“. ამ გადაწყვეტილებას დასთანხმებია კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი.

✦ „ივერია“-ს პეტერბურგიდან ატყობინებენ: **წელს პეტერბურგის უნივერსიტეტში კურსი დაუმთავრებია** სულ ხუთს ქართველს: აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტის ქართულ-სომხურ-სპარსული განყოფილება—იუსტინე აბულაძეს, საბუნების-მეტყველო ფაკულტეტი—სანდრო გაბუნიას, იურიდიული ფაკულტეტი—გიგო გაბაშვილს, გიგო რცხილაძეს და კოტე მაყაშვილს.

✦ **მოსკოვის უნივერსიტეტში წელს კურსი დაუსრულებია** იურიდიულ ფაკულტეტზე სამს ქართველს: ალ ყ ნჩელს, გაბრ. თულაშვილს და დავ. შამირანიშვილს.

✦ **ამიერ კავკასიის სასოფლო—საქმეთა მმართველობის** რეორგანიზაციის პროექტი უკვე შეუმუშავებია კავკასიის საქიმო ნაწილის უწყებას და მოკლე ხანში წარუდგინება განსახილველად კავკასიის უმაღლესს მმართველობას.

✦ ტფილისის საგუბერნიო ექიმი ბ. ქოქოშე წავიდა გორის მაზრაში საექიმო დაწესებულებათა დასათვალიერებლად. გორის მაზრაში მალე დაარსებულ იქნება კიდევ ერთი სასოფლო ქსენონი.

✦ სამტრედიიდან იტყობინებიან, რომ აბრეშუმის გაუმშრალ პარკის ვაჭრობა უკვე დაიწყო. ჯერ-ჯერობით ხონში და სამტრედიაში პარკი შედარებით იაფფასებში—12 მან. 50 კაპ. 13 მ. 50 კაპ. იყიდება ფუთი. 7 ივნისიდან სამტრედიის ბაზარზე პარკი იწონება საზოგადოების სასწორით. ამავე დღეს არჩეულ იქმნა კომისია პარკის ვაჭრობის გაწესრიგებისათვის. კომისიაში წევრებად არიან სტუდენტები, სოფლის მასწავლებლები და სხვანი.

✦ თურქესტანში გამოსცადეს **კალიას გაწყვეტა პარიზის სითხის** საშუალებით. გამოცდამ ჯეროვანი ნაყოფი მოიტანა. კალიის კვერცხზე სითხე შესანიშნავად მოქმედობს. ამას გარდა კვერცხიდან ახლად გამოსული კალია მიეკარება თუ არა პარიზის სითხით მოწამლულ ადგილს, მაშინვე კვდება.

✦ ფინანსთა სამინისტრო საყოველთაოდ აცხადებს, რომ: 1 უმაღლესად დამტკიცებულის, ამა წლის 25 იანვარს, მინისტრთა კომიტეტის დადგენილებით გარდაწყვეტილია 1887 წელს გამოცემულ ქაღალდის ფული 25 მანათიანი, 10 მან. და 5 მან. **დარჩეს ისევ ხმარებაში,** აგრეთვე ას მან, 1866 წ. გამოცემული,—**1902 წ. 1 იანვრამდის.** ამიტომ აღნიშნული ღირსების ქაღალდის ფული 1901 წ. 31 დეკემბრამდე მიიღება ყველა სახელმწიფო დაწესებულებათაგან დაუბრკოლებლივ.

✦ ქუთაისის საგუბერნიო მთავრობის მიერ შემუშავებული ქუთაისის გუბერნიის საადგილ-მამულო გარდასახადის პროექტი იმ პირებზე გასაწერად, რომელნიც არ იხდიან საკომლო გარდასახადს, განიხილა მთავარ-მართებლის საბჭომ და დაამტკიცება გენერალ-ლეიტენანტმა ფრეზემ.

✦ საერო განათლების სამინისტროს გადაუწყვეტია, რომ **რეალურ სასწავლებელთ** ნება მიეცეს

მოსამზადებელ კლასების პარალელურ განყოფილებათა გახსნისა.

✦ ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ტფილისის გამგეობას, რომ 1897 წ. 28 აპრილს გამოცემულ ბრძანებიდან სჩანს, რომ **სავეტერინარო განყოფილება** არ უნდა ექვემდებარებოდეს საზოგადოთ საკურნალო განყოფილებას. ესევე აზრი გამოცხადებულია 1 მაისს 1899 წ. შინაგან საქმეთა მინისტრის ცირკულიარში. ტფილისში კი საქალაქო სავეტერინარო დაწესებულებანი ექვემდებარებიან სასანიტარო ინსპექტორს, რომელსაც არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლიან ამ შემთხვევაში; ამისათვის გუბერნატორი წინადადებას აძლევს—ყველა სავეტერინარო დაწესებულებანი ,როებით გარდაეცეს ერთ ერთ ვეტერინარს და მომავალში საბჭოში შეტანილ იქმნას წინადადება შესახებ სავეტერინარო დაწესებულებათა ზედამხედველის დანიშვნისა.

✦ დ. ზუგდიდიდან იტყობინებიან, რომ სოფელ ქვემო-ბიაში, (ზუგდიდის მაზრა), ახლო ხანებში დამთავრდა ადგილობრივ ეკკლესიის შენობა, რომელიც ამ დღეებში აკურთხეს კიდეც. ეკკლესიის კურთხევის დღეს ადგილობრივმა მღვდელმა ნ. სასაკიამ შესწირა ახლად ნაკურთხ ეკკლესიას 200 მ., მანვე წინად შესწირა სამრევლო სკოლის გახსნისათვის 300 მან.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ივნისს

**ტოკიო.** იაპონიის კონსული შანხაიში იტყობინება, რომ სეიმური მივიდა პეკინს. ელჩები უვნებლივ არიან. იაპონიის ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, რომ 5 ივნისს მეამბოხეთ გადაუწვავთ უცხოელთა სახლ-კარი ტიანცზინში.

**ბერლინი.** კრეისერი „გეფიონი“ მივიდა ჩიფუს და იქიდან ტაკუს წავიდა.

სტატს-სეკრეტარი ბიულოვი წავიდა კილს.

**ზანდპრუიტი.** ბულლერი თავის შტაბით დაბინავდა ზანდსპრუიტის სადგურის უკან ორი მილის სიშორეზე, ფოლკსრუსტიდან ჩრდილოეთით. ბანაკი რკინის გზის ლიანდაგის დასავლეთ ნაპირზეა ამ ,.ქში ინგლისელთ დანებდა 187 ბური.

**ჰონკონგი.** კანტონიდან მოსულ ცნობებით, ლიხუნგჩანგმა გადასწყვიტა დარჩეს კანტონში, თანახმად უცხოელ კონსულთა განცხადებისა.

**ბერლინი.** 27 ივნისს ჩინეთისაკენ წავა კიდევ ორი ხომალდი ჯარებით. იმპერატორის ბრძანებით ჩინეთში გაიგზავნება აგრეთვე ერთი როტა პიონერთა.

**მადრიდი** მადრიდის ოლქში შეჩერებულ იქმნა კონსტიტუციის მოქმედება, რადგანაც ვაჭრებმა უარი განაცხადეს გარდასახადის გადახდაზე.

**პრეტორია.** ამ ჟამად გამოცხადდა არა ოფიციალურად, რომ ინგლისის ჯარებსა და ბოტას რაზმებს შუა ხუთის დღით მშვიდობიანობა დაწესდაო. ვადის გათავების შემდეგ რობერტსი აპირებს ახნედ განაგრძოს ბრძოლა.

**შანხაი.** ჩიფუში მდგომი ინგლისის გემი იტყობინება, რომ ევროპიელთა ჯარების შესახებ, რომელნიც პეკინისაკენ წავიდნენ გენერალ სეიმურის წინამძღოლობით, ეს მეექვსე დღეა არაფერი ისმისო.

**ბერლინი.** ზოგიერთ გაზეთებში უკვე დაბეჭდილია ნეკროლოგები გრაფ მურავიოვის შესახებ. „ნეესტე ნახრიხტენ“ იგონებს მის ბერლინში სამსახურს. „გრაფ მურავიოვის მინისტრობის დროსო, სწერს გაზეთი, გერმანიასა და რუსეთს შორის ჩვეულებრივი მეგობრული განწყობილება ჰსუფევდაო“. გაზეთი „ტაგებლატ“ აქებს გრაფ მურავიოვს, როგორც ჭკვიანსა და გულ-,.ფელ მომხრეს ხელმწიფე იმპერატორის მიერ მოწვეულ გააგის კონფერენციისას.

**კასტელამარე.** აქ მყოფი ინგლისის კრეისერი წავიდა ჩინეთისაკენ.

**იოკაჰამა.** რუსეთის კრეისერით „რიუ..იკით“ მოვიდა აქ რუსეთის ახალი ელჩი იაპონიაში. კრეისერი აქედან ტაკუში მიდის.

ხმა არის, რომ უცხოელი ოფიცრები და ჯარის-კაცები, რომელნიც დაჭრილ იქმნენ ჩინელებთან ბრძოლის დროს, იაპონიის გემით წაუყვანიათ სასეხოს საზღვაო სადგურში, სადაც ისანი თავის მფარველობის ქვეშ მიიღო „წითელი ჯვრის“ იაპონიის საზოგადოებამ.

**ჰონგკონგი.** ინგლისის სამხედრო გემები სდგანან ბუზუნში. იმათ განზრახვა აქვთ დაატყვევონ ჩინელი კრეისერები.

**შანხაი.** ოფიციალურ ცნობებიდან სჩანს, რომ ტაკუს დაპყრობის დროს იაპონელთ მოუკლეს ათი კაცი, მათ შორის გემის უფროსი ხატტორი.

**შანხაი.** შანდუნის პროვინციის ჩრდილოეთ—დასავლეთის ნაწილის ყველა მისსიონერები ჩახსდნენ მათთვის საგანგებოთ გამოგზავნილს გემში, რომელიც სდგას ყვითელ მდინარის ზღვის შესართავში.

**შანხაი.** უცხოელთა ჯარები, სეიმურის წინამძღოლობით, ძნელს გზაზე ჩინელებთან რამდენიმე შეტაკების შემდეგ, კვირას მივიდნენ პეკინში.

**შანხაი** ტიანცზინიდან მოსულ ცნობებით, „დიდი მუშტი“ თავს დაესხა ტიანცზინის ევროპიელთა სადგომებს, მაგრამ უკუქცეულ იქნა 2000 რუს და სხვა უცხოელ ჯარის-კაცებისაგან, რომელნიც რკინის გზის დასაცველად იყვნენ გაგზავნილნი.

ტაკუს დაპყრობის დროს პირველი სიმაგრე აიღეს იაპონელებმა, მეორე ინგლისელებმა; რუსეთის და გერმანიის ჯარებმა კი აიღეს სამხრეთი სიმაგრე.

**იოკაჰამა.** სამი იაპონელი გემი წავიდა ტაკუსაკენ; ორ სხვა გემს ბრძანება მოუვიდა მოემზადონ წასვლისათვის.

9 ივნისს

**პეტერბურგი.** გამოცხადდა უმაღლესი ბრძანება, რომლით სამთო ინჟინერს ებრძანა იყოს სამთო დეპარტამენტის დირექტორად და ნოვგოროტის თავად-აზნაურთა გუბერნიის წინამძღოლს თავ. ვასილჩიკოვს—იყოს პსკოვის გუბერნატორად.

**კიევი.** 9 ივნისს ახლად გარდაცვალებულის მიტროპოლიტის გვამი გადაასვენეს კიევ ი-პეჩორის მონასტერში.

**ფილადელფია.** რესპუბლიკანელთა პარტიის პროგრამმა შემუშავებული პრეზიდენტის ამორჩევის დროს სამოქმედოთ თხოულობს რომ ხელი შეეშალოს უცხოელთა, ამერიკაში გადმოსახლებას, იგიაქებს მაკ-კინლეის იმისთვის, რომ მან შეერთებული შტატები არ აიძულა ვისთანმე კავშირი შეეკრა, და აცხადებს ამერიკის ხალხის სურვილს სამხრეთ აფრიკის ომის მშვიდობიანად დასრულების შესახებ.

**პარიჟი.** პალატა. დელკასე ამბობს, რომ მან მიიღო დეპეშა, რომლით იტყობინებიან, რომ უცხოელნი უვნებლად არიან პეკინშიო, ფრანსუასაგან დეპეშა მოეიდა, რომ ჩინეთის მთავრობა ახლა კი მიხვდა თავისი მოვალეობასო. ფრანსუამ შეიძლება მოახერხებს წასვლა. დეპეშაში ნათქვამია, რომ მდგომარეობა უეჭველად გაუმჯობესდებაო.

ტაკუდან იტყობინებიან, რომ ეს მეშვიდე დღეა სეიმურისა არაფერი ისმისო. ხუთი დღეა, რაც ტიანცზინიდან ამბები არ მოსულა. მოკავშირე ჯარებს უჭირავთ სიმაგრეები ტაკუსა და ტონგვუს შუა. ისინი წავლენ ტიანცზინისაკენ ევროპიელთა გამოსახსნელად, როცა საკმარისი ჯარი ეყოლებათ განზრახვის შესასრულებლად.

**ტაკუ** ამბობენ, რომ ტიანცზინთან ბრძოლა ჯერაც არ შეწყვეტილაო. ინგლისელთა დამცველი ჯარი 3000 კაცისაგან შესდგება. დღეს ადმირალებმა და უფროსმა ოფიცრებმა გარდასწყვიტეს გამოსცენ შემდეგი პროკლამაცია: „ვაცნობებთ ყველა ვიცე-კოროლებს და აგრეთვე ყველა ქალაქების და პროვინციების მთავრობათ, რომ ჩვენ იარაღს ვიხმართ მხოლოდ „დიდი მუშტის“ და იმ პირთა წინააღმდეგ, რომელნიც ხელს შეგვიშლიან ჩვენ პეკინისაკენ მსვლელობის დროს, საითაც ჩვენ მივდივართ ჩვენი თანამემამულეთა გამოსახსნელად.

**შანხაი.** ვუსუნში მოვიდნენ მეზღვაურნი ტელეგრაფის დასაცველად.

**ლონდონი.** კრეისერმა „ირის“-მა და „დიდო“-მ მიიღეს ბრძანება ჩინეთში წავიდნენ.

**ვაშინგტონი.** ადმირალი კემპფი ჩიფუდან იტყობინება, რომ ჩინელები ზარბაზნებს უშენენ ტიანცზინს. ამერიკის საელჩო და აგრეთვე უცხოელთა უმეტეს კონცესიებს ანგრევენ. ტიანცზინში მიდის განმათავისუფლებელი რაზმი, შემდგარი 130 ამერიკელისაგან.

ჩინეთის გენერალი მივიდა გეისთან სადარბაზოდ და აუწყა, რომ მას მოუვიდა დეპეშა ინცეკინის სამი დიდი პროვინციის ვიცე-კოროლისაგან, რომელშიაც იტყობინება, რომ მას შეუძლიან დაამყაროს მისდამი რწმუნებულ პროვინციებში მშვიდობიანობა და უზრუნველ ჰყოს მისსიონერები, და აგრეთვე ვიცე კოროლ ხუნანთან ერთად იგი ჰკისრულობს მშვიდობიანობის დაცვას სამხრეთ ჩინეთის დიდ პროვინციებში.

**ტულონი.** ადმირალმა ჟერვემ მიიღო რუსეთის ადმირალი რიმსკი-კორსაკოვი.

**პარიჟი.** მოვიდა თუ არა ამბავი მურავიოვის სიკვდილის შესახებ, დელკასე წავიდა რუსეთის საელჩოში, რათა გამოეცხადებინა თავად ურუსოვისათვის გულითადი მწუხარება თავისი მთავრობის მხრივ. დელკასემ გაგზავნა დეპეშა პეტერბურგს, რომლით იგი მწუხარებს უცხადებს რუსეთის მთავრობას რუსეთის ერთგული მოსამსახურის გარდაცვალებისა გამო, რომელიც აგრეთვე ერთგული და განათლებული მოძმე იყო საფრანგეთისაც.

დრ. რედ. ალ. ჭყონია

გამომც. გ. გუნია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Іюня 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—სა. განქის დიდი ქუჩა, № 27.